# ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲙᲚᲐᲕᲘᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

მხედრული | ႠႱႭႫႧႠႥႰႳႪႨ

ᲛᲗᲐᲕᲠᲣᲚᲘ | ⴌⴓⴑⴞⴓⴐⴈ

MacOS


**ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘ:**

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲐᲫᲔ (WINDOWS ᲕᲔᲠᲡᲘᲐ)
ᲐᲜᲐ ᲡᲐᲜᲘᲙᲘᲫᲔ (MACOS ᲕᲔᲠᲡᲘᲐ)



პროექტი შესრულებულია Typeface.ge-სა და საქართველოს კალიგრაფთა ასოციაციის თანამშრომლობით.


საქართველოს კალიგრაფთა ასოციაცია
Georgian Calligraphers Association

## ᲡᲐᲠᲩᲔᲕᲘ


ᲛᲮᲔᲓᲠᲣᲚᲘ ᲙᲚᲐᲕᲘᲐᲢᲣᲠᲐ ..... 2
ზოგადი ასო-ნიშნები ..... 2
ძველი ქართული სასვენი და განკვეთილობის ნიშნები ..... 4
დიაკრიტიკული ნიშნები ..... 4
ᲮᲣᲪᲣᲠᲘ ᲙᲚᲐᲕᲘᲐᲢᲣᲠᲐ ..... 5
ᲘᲜᲡᲢᲐᲚᲐᲪᲘᲐ ..... 7

# მხედრული კლავიატურა

## ზოგადი ასო-ნიშნები




მხედრული კლავიატურა მისდევს ყველაზე გავრცელებულ QWERTY-განლაგებას. ასოთა ნაწილი იწერება Shift ღილაკზე დაჭერით:




Shift ღილაკით იწერება არქაული ქართული ასოები და დამატებითი სიმბოლოები:

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჱ | Shift + e | ჵ | Shift + h | ჹ | Shift + g | ჿ | Shift + p |
| ჲ | Shift + i | ჶ | Shift + f | ჺ | Shift + a | ჼ | Shift + n |
| ჳ | Shift + v | ჷ | Shift + u | ჸ | Shift + q | | |
| ჴ | Shift + x | ჽ | Shift + y | ჾ | Shift + o | | |

ყველა ქართულ სიმბოლოს აქვს კოდი UNICODE სისტემაში. ამ სიმბოლოების სრულყოფილი ნაკრები შრიფტების დიდ ნაწილში არაა. კლავიატურით ასაკრეფად, აუცილებელია, გამოყენებული შრიფტი მოიცავდეს ამ სიმბოლოებს სწორი კოდირებით.

ქართული ორთოგრაფიისთვის საჭირო ყველა სასვენი ნიშანი განლაგებულია კლავიატურაზე. მიაქციეთ ყურადღება, რომ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲠᲗᲝᲒᲠᲐᲤᲘᲘᲡ **ᲑᲠᲭᲧᲐᲚᲔᲑᲘ** („“) ᲘᲬᲔᲠᲔᲑᲐ ᲙᲚᲐᲕᲘᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲣᲙᲘᲓᲣᲠᲔᲡ ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐ ᲖᲔᲓᲐ ᲛᲮᲐᲠᲔᲡ ᲒᲐᲜᲚᲐᲒᲔᲑᲣᲚᲘ ᲦᲘᲚᲐᲙᲘᲗ (ზედა ბრჭყალი Shift ღილაკის გამოყენებით). თუმცა, არასწორად დაწერილ ბრჭყალებს ზოგიერთი პროგრამა (მაგ. Microsoft Word) ავტომატურად ასწორებს.

**ᲛᲮᲔᲓᲠᲣᲚᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲣᲚᲘ** ᲐᲡᲝᲔᲑᲘᲗ ᲬᲔᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲐᲭᲘᲠᲔᲗ ᲦᲘᲚᲐᲙᲡ Caps lock. ასოების, სასვენი ნიშანებისა და ციფრების განლაგება იგივე რჩება. მთავრულის გამორთვაც იმავე ღილაკით ხდება.







**შენიშვნა:** ᲛᲮᲔᲓᲠᲣᲚᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲣᲚᲘ არ აქვს ყველა ქართულ შრიფტს. ზოგიერთი მოძველებული შრიფტი კი, მართალია, შეიცავს ᲛᲗᲐᲕᲠᲣᲚ ასოებს, მაგრამ მათი განლაგება არაა UNICODE სისტემაზე მორგებული. მოცემული კლავიატურით ᲛᲮᲔᲓᲠᲣᲚᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲣᲚᲘᲗ წერა ამ წესით შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იყენებთ UNICODE სტანდარტით აგებულ შრიფტს.

## ძველი ქართული სასვენი და განკვეთილობის ნიშნები




ძველი ქართული სასვენი და განკვეთილობის ნიშნები იწერება Option+X კომბინაციით:

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | Option + 1 | — | Option + - | · | Option + q | ⁛ | Option + s |
| € | Option + 2 | – | Option + = | ⁖ | Option + w | ※ | Option + z |
| £ | Option + 3 | ° | Option + 0 | ⁘ | Option + e | ⁜ | Option + x |
| ¢ | Option + 4 | ~ | Option + / | ⁙ | Option + a | ₽ | Option + t |

**შენიშვნა:** ზოგიერთი სისტემური ფონტი შეიცავს ძველ ქართულ სასვენ ნიშნებს და მათ აკრეფას ვებ-ბრაუზერებშიც შეძლებთ, თუმცა ფონტების უმეტესობას არ გააჩნია ქართული სიმბოლოების სრული ნაკრები. ამ სიმბოლოების გამოსაყენებლად შრიფტს უნდა ჰქონდეს ეს სიმბოლოები სწორი UNICODE კოდირებით.

## დიაკრიტიკული ნიშნები

დიაკრიტიკული ნიშნები იწერება Option+X კომბინაციით:

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ¨ | Option + ; | ა̈ | ე̈ | ი̈ | ო̈ | უ̈ | | ´ | Option + ' | ა́ | ე́ | ი́ | ო́ | უ́ |
| ˉ | Option + l | ა̄ | ე̄ | ი̄ | ო̄ | უ̄ | | ` | Option + [ | ა̀ | ე̀ | ი̀ | ო̀ | უ̀ |
| ˆ | Option + 6 | ა̂ | ე̂ | ი̂ | ო̂ | უ̂ | | ˜ | Option + ` | ნ̃ | | | | |
| ˘ | Option + k | ა̆ | ე̆ | ი̆ | ო̆ | უ̆ | | | | | | | | |

დიაკრიტიკული ნიშნების მქონე ასოების დასაწერად აკრიფეთ შესაბამისი ასო, შემდეგ დიაკრიტიკული ნიშანი და შრიფტის პროგრამა მას სათანადო ადგილას თავად განალაგებს. შესაძლებელია ნიშნების კომბინირებაც.




## ხუცური კლავიატურა

ხუცური კლავიატურა მოიცავს ასომთავრულ (ႠႡႢႣႤ...) და ნუსხურ (ⴀⴁⴂⴃⴄ...) დამწერლობებს. კლავიატურის განლაგება იმეორებს მხედრული კლავიატურის განლაგებას: ციფრები, სასვენი ნიშნები (მათ შორის ძველი ქართული ნიშნებიც) და სხვა საჭირო სიმბოლოებიც შენარჩუნებულია იმავე ადგილებზე.

### ნუსხური






# ასომთავრული

ხუცური კლავიატურით Caps Lock-ის ჩართვის შემთხვევაში იწერება ასომთავრულად, ხოლო Caps Lock-ის გარეშე – ნუსხურად.





**შენიშვნა:** ყველა სიმბოლო შეესაბამება UNICODE სტანდარტს. შესაბამისად, ამ კლავიატურით წერა შესაძლებელია მხოლოდ იმ შრიფტებით, რომლებშიც ასომთავრული და ნუსხური ასოები თავიანთ სწორ ადგილებზეა განთავსებული.

# ინსტალაცია

[1] გახსენით Finder აპლიკაცია და ზედა მენიუდან, აირჩიეთ: Go > Go to Folder... (command + shift + G)




[2] ფანჯარაში ჩაწერეთ /Library/keyboard Layouts.




[3] ჩააკოპირეთ გადმოწერილი ფაილები და გადატვირთეთ კომპიუტერი.




[4] გახსენით კლავიატურის პარამეტრები.



[5] დააჭირეთ “+” ღილაკს და სიაში მოძებნეთ “Other”. მონიშნეთ სასურველი კლავიატურა და დააჭირეთ “add” და შემდეგ “Done”ღილაკებს.




[6] აირჩიეთ სასურველი კლავიატურა მენიუდან




კლავიატურის სრულყოფილად გამოსაყენებლად დააინსტალირეთ ორივე: მხედრული და ხუცური კლავიატურა.

**შენიშვნა:** სურვილის შემთხვევაში, დეინსტალაცისთვის წაშალეთ Finder აპლიკაციაში ჩაკოპირებული ფაილები. თუ მხოლოდ გამორთვა გსურთ, გამორთეთ კლავიატურის სტანდარტული პარამეტრებიდან.

ინსტალაციის შემდეგ, კლავიატურის ენებს დაემატება ორი ქართული კლავიატურის პროგრამა: Georgian Mkhedruli და Georgian Khutsuri.
გადართვა შესაძლებელია როგორც მაუსით პირდაპირ მენიუდან, ისე კლავიატურიდან.

- Ctrl+Space კომბინაცია გადართავს კლავიატურებს ერთმანეთს შორის.